

# საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“

თბილისი, 3–4 ივნისი, 2015 წელი

პატივცემულო კოლეგებო,

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტს აქვს პატივი გაცნობოთ, რომ 2015 წლის 3–4 ივნისს, თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტი და ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამონაწილეობით, ევროპული კვლევების ფორმატით ატარებს მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმს „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“.

წელს სრულდება 70 წელი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან. ამ ომში, მსოფლიო პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ქართველმა ერმა. მეორე მსოფლიო ომმა საფუძველი დაუდო გაეროს შექმნას, დააჩქარა დეკოლონალიზაციის პროცესი და ბოლო მოუღო კოლონიურ იმპერიებს. ამასთანავე მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მსოფლიო გლობალურ პოლარიზაციასა და ცივ ომში აღმოჩნდა გახვეული. გასული საუკუნის ბოლოსათვის მოხდა საუკუნის კიდევ ერთი ეპოქალური მოვლენა, დაიშალა საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მიეცათ შესაძლებლობა დაბრუნებოდნენ თავიანთ ისტორიულ სივრცეს. ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების უახლესი ისტორიის, მათი შემდგომი განვითარების, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გაშუქებასა და უკეთ წარმოჩენას ეძღვნება ეს სიმპოზიუმი.

## სიმპოზიუმის მიზანია:

- საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საკითხების კვლევა ევროპის ცალკეულ ქვეყანებში და ასევე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.
- ქართულ–კავკასიური და ქართულ–ევროპული ურთიერთობების შესწავლა.
- ევროპასთან ინტეგრაციის პერსპექტივები და პრობლემები.
- ქართველ და კავკასიელ ევროპის მცოდნეთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება უცხოელ, უპირველესად ევროპელ, კოლეგებთან.

სიმპოზიუმის მოხსენებათა თემატიკა ფართოა: ისტორია, პოლიტიკა, განათლება, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება, გენდერი, მასმედია, სამართალი, ეკონომიკა, და ა.შ.

განსაკუთრებით მივესალმებით ისტორიის, კულტურის, საგარეო პოლიტიკის სფეროში სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობების საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებებს.

**სიმპოზიუმის გახსნა: 2015 წლის 3 ივნისი, 10:00 სთ.**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, მ. კოსტავას ქ. №77, შეხვედრების დარბაზი.

**სიმპოზიუმის მეორე დღე: 4 ივნისი, 11 :00 სთ.**

მისამართი: ქ. ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, კ. ზაზაძის სახ. დარბაზი.

**სამუშაო ენა:** ქართული, ინგლისური და რუსული

### **შენიშვნები**

- ნაშრომი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული და არ უნდა იყოს წაკითხული სხვა კონფერენციაზე.
- თეზისებში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი კვლევის შედეგები.

### **კულტურული პროგრამა**

სიმპოზიუმის დასრულებისას დაგეგმილია ისტორიულ და კულტურულ ღირსშესანიშნაობათა მონახულება.

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი (**განაცხადის ფორმა იხ. დანართში**), მოხსენების ანოტაცია და რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა წარმოადგინონ ა.წ. 10 მაისამდე.

სიმპოზიუმზე წარსადგენი ყველა მასალა არა უგვიანეს 2015 წლის 10 მაისისა უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: [nugzar@outlook.com](mailto:nugzar@outlook.com).

სიმპოზიუმზე წარსადგენ მოხსენებებს შეარჩევს საორგანიზაციო კომიტეტი.

მისამართი: 0175, საქართველო, მ. კოსტავას ქ. 77. სტუ, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, მე-6 კორპუსი, ოთახი 805ა.